5გ5
1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (101) აპრილი 1960 წ.

3073

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
2. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით ჩოხატაურის, კასპისა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.
3. „საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
4. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ ქართულ ენაზე გამოცემისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების საქმის გაუმჯობესების შესახებ.
5. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
6. ბრძანებულება გ. ა. სამხარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
7. ბრძანებულება ე. დ. ძამაშვილისათვის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
8. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართ. სსრ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მომუშავე ინჟინერთა კადრების წახალისების მიზნით დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების და აგრეთვე სახალხო მეურნეობის მმართველობის ორგანოების ინჟინრებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საინჟინრო მოღვაწეობით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების I განყოფილებას დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“, ხოლო ამავე დებულების II განყოფილებას ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი მე-17 პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 6 აპრილი.

2. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით ჩოხატაურის, კასპისა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ჩოხატაურის, კასპისა და ლაგოდეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს ორგმასობრივი მუშაობა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მაღალხარისხოვნად და შემჭიდროებულ ვადებში ჩატარების უზრუნველსაყოფად. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ თათბირებზე მათ აიღეს კონკრეტული ვალდებულებები და გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1960 წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და უმრავლესი სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ღრმად სწვდებიან სოფლის მეურნეობის კონკრეტულ საკითხებს, რეგულარულად იწვევენ საბჭოების სესიებს, აღმასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებისა და მუდმივი კომისიების სხდომებს, იხილავენ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობის საკითხებს და სახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

შემოწმებული რაიონების მეტწილ კოლმეურნეობებში დროულად ჩატარდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადება და ამჟამად მიმდინარეობს საგაზაფხულო კულტურების დასათესად გათვალისწინებული ფართობების ხვნა და აგრეთვე ჩაის, ვენახის, ხეხილის ბაღებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების ნიადაგის დამუშავება.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის საჭირო ორგმასობრივ ღონისძიებათა გატარების საქმეში ჩოხატაურის, კასპისა და ლაგოდეხის რაიონულ და სასოფლო საბჭოებს ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებები.

მშრომელთა დეპუტატების კასპისა და ლაგოდეხის რაიონულ, აგრეთვე მთელ რიგ სასოფლო საბჭოებს ჯერ კიდევ არ განუხილავთ სესიებზე საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების ან მიმდინარეობის საკითხები, ხოლო ლაგოდეხის რაიონულ, კასპის რაიონის 5 და ლაგოდეხის რაიონის 3 სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზეც არ განუხილავთ საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებული საკითხები.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარების საქმეში ნაკლებ მონაწილეობას იღებს ზოგიერთი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, კერძოდ, ლაგოდეხის რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას (თავმჯდომარე ა. რეხვიაშვილი) საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი არც ერთხელ არ გაუხდია მსჯელობის საგნად, ხოლო კასპის რაიონული საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიას (თავმჯდომარე ს. ნათელაშვილი) არჩევის დღიდან არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია.

ლაგოდეხისა და კასპის რაიონების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს არ მოეპოვებათ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გეგმები და ცნობები მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ. იმის გამო, რომ ზოგი სასოფლო საბჭო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს, — ნაკლოვანებები არსებობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადებისა და მიმდინარეობის საქმეში. მაგალითად, კასპის რაიონის ყველა კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის საჭირო რაოდენობის თესლით, მათ აკლიათ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესლი, ამასთან ნელა მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების თესლის წმენდა და მისი ხარისხიანობის შემოწმება. მიმდინარე წლის 10 მარტის მდგომარეობით რაიონში საგაზაფხულო ქერის თესვისათვის საჭირო 2.771 ცენტნერი თესლიდან შესამოწმებლად იყო წარდგენილი 2.025 ცენტნერი, საიდანაც უკონდიციო აღმოჩნდა 850 ცენტნერი. რაიონის 27 კოლმეურნეობიდან 8 კოლმეურნეობას არ წარუდგენია ქერის თესლის ნიმუშები თესლის კონტროლის ლაბორატორიაში, ხოლო წარდგენილი ნიმუშებიდან 7 კოლმეურნეობის თესლი უკონდიციო აღმოჩნდა გაღვივების მხრივ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა იმეორებს გასული წლის შეცდომებს, როცა იგი თესავდა უკონდიციო თესლს და იღებდა დაბალ მოსავალს. მაგალითად, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის კოლმეურნეობა თესავდა ქერის უკონდიციო, დასარევლიანებულ თესლს, რომელიც დაიწუნა თესლის კონტროლის ლაბორატორიამ. ამ რაიონის კოლმეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს მანქანა-იარაღების რემონტი. შემოწმების დღისათვის გასარემონტებელი იყო 22 ტრაქტორი, 9 გუთანი, 13 ხორბლის საწმენდი, 1 ჭარხლის სათესი, 6 სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი სათესი, ხოლო ლაგოდეხის რაიონის ყარსუბნის კოლმეურნეობაში არ შეუკეთებიათ რკინის ფარცხი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ვენახების გადაბარვა, ორგანული სასუქების შეტანა, კარტოფილის თესლის გამოყოფა და ჩაის პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებში. 10 მარტის მდგომარეობით ამ რაიონის კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 160 ჰექტარიდან ჩაის გასაშენებლად ნიადაგი მომზადებული იყო მხოლოდ 24 ჰექტარი, ხოლო პლანტაციები ნაცვლად 80 ჰექტარისა გაშენებული იყო 1,6 ჰექტარზე. ხვნა-თესვაში სრული დატვირთვით არ იყენებენ კოლმეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების ტექნიკასა და მუშა-გამწევ ძალას.

ლაგოდეხის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა აგვიანებს ვენახებისა და ხეხილის ნარგავების გასხვლას; 15 მარტისათვის რაიონში 286 ჰექტარი ვენახიდან გასხლული იყო მხოლოდ 97,5 ჰექტარი, 256 ჰექტარი ხეხილიდან — 119,7 ჰექტარი. ვენახების გასხვლა ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაწყებული სოფელ ახალი ულიანოვკის, მ. გორკის, გაზეთ „კომუნისტის", ხეთაგუროვისა და ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებს.

კასპის, ჩოხატაურისა და ლაგოდეხის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში ნაკლოვანებები არსებობს შრომის ორგანიზაციის საქმეშიაც; არის ისეთი შემთხვევები, როცა ზოგ ბრიგადაში კოლმეურნეთა დიდი რაოდენობა არ მონაწილეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში საწარმოო ბრიგადების და რგოლების დაკომპლექტება, საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა და დამტკიცება არ დამთავრებულა; უფრო მეტიც, ლაგოდეხის რაიონის 4 კოლმეურნეობის წლიური ანგარიში 15 მარტისათვის რაიაღმასკომს ჯერაც არ ჰქონდა დამტკიცებული, რის შედეგადაც გვიანდება რაიონული ჯუმლის შედგენა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენა.

ზოგიერთ რაიონულ გაზეთში და საკოლმეურნეო კედლის გაზეთებში არადამაკმაყოფილებლად შუქდება საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებისა და მიმდინარეობის საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

1. დაევალოს ჩოხატაურის, კასპისა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. გ. მამალაძე, ა. ბასიაშვილი და ლ. ჩიკვაიძე) მიიღონ საჭირო ზომები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სა-

მუშაოებთან დაკავშირებით რაიონული და სასოფლო საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის გაძლიერებისათვის. ამ მიზნით:

ა) მიაღწიონ იმას, რომ სასოფლო საბჭოებმა უფრო აქტიურად მოკიდონ ხელი სოფლის მეურნეობის საკითხებს. ხშირად შეისწავლონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის მდგომარეობა, განიხილონ იგი საბჭოების სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებას და მაღალი მოსავლის მიღებას;

ბ) რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა მიიღონ ზომები სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ მუდმივი კომისიები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საკითხების მომზადება-განხილვაში და სოფლის მეურნეობის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის მოსახლეობის დარაზმვაში;

გ) მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საქმეში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, უახლოეს დღეებში უზრუნველყონ დანაკლისი თესლის გამოყოფა და მისი გაწმენდა, მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო რაოდენობის შხამ-მასალების შეზიდვა. მიაღწიონ იმას, რომ დაითესოს მხოლოდ და მხოლოდ მაღალხარისხოვანი თესლი.

დ) მიიღონ გადამჭრელი ზომები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მანქანა-იარაღების შეკეთების დამთავრებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ მანქანების შეკეთების ხარისხს. ნიადაგის დამუშავების საქმეში მაქსიმალურად გამოიყენონ როგორც მანქანა-იარაღები, ისე მუშა-გამწევი ძალა;

ე) მიიღონ საჭირო ზომები კოლმეურნეობებში საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების დაკომპლექტების და საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენისა და დამტკიცების დასაჩქარებლად. კოლმეურნეობების საწარმოო გეგმები დროულად დაიყვანონ ბრიგადებამდე, რგოლებამდე და თვითეულ კოლმეურნემდე; მიაღწიონ იმას, რომ ყველა კოლმეურნე აქტიურ მონაწილეობას იღებდეს საკოლმეურნეო შრომაში.

ვ) საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარების მიზნით სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეობების მიერ 1960 წლისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას, რისთვისაც ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებსა, კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და რგოლებს შორის;

ზ) პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ სოფლის მეურნეობის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხები და დასახონ ღონისძიებანი ამ დარგში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 6 აპრილი.

3. „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოს მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. გ. ვ. რობიტაშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. რ. ხვედელიანის თანამოხსენება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულება და ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მათი მონაწილეობის პირობები ფართოდ გაეცნო ყველა კოლმეურნეობასა და საგზაო სამუშაოებში მონაწილე ორგანიზაციას. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ დროულად იქნა შედგენილი და დამტკიცებული 1959 წლის საგზაო სამუშაოთა გეგმები, რომლებიც მთლიანად შეესაბამებიან როგორც კოლმეურნეობების, ისე სხვა ორგანიზაციების შრომითი რესურსების რაოდენობას. ამასთან ეს გეგმები ყველგან დროულად იქნა დაყვანილი ბრძანებულების მე-2 და მე-3 მუხლების სრული შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობის 1959 წლის გეგმა 102 პროცენტით იქნა შესრულებული; იგი გადაჭარბებით შეასრულა რესპუბლიკის რაიონების უმრავლესობამ, როგორიცაა მახარაძის, სამგორის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, დმანისის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, თელავის, ცხაკაიასა და რიგი სხვა რაიონები, აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკამ.

ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ადგილობრივი გზების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოებისათვის გამოსაყენებელი შრომითი რესურსების რაოდენობა; თუ 1958 წელს ადგილობრივი გზების მშენებლობასა და შეკეთებაში მონაწილე შრომითი რესურსების რაოდენობა 39 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა, 1959 წელს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობით შესრულებული იქნა 45 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოები, ხოლო 1960 წელს უნდა შესრულდეს 53,7 მილიონი მანეთის სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ ბრძანებულებით გათვალისწინებულ სავალდებულო მონაწილეობის გარდა, რიგი კოლმეურნეობები ადგილობრივი გზების და ხიდების მშენებლობისა და შეკეთებისათვის მნიშვნელოვანი რაოდენობით აბანდებენ თავიანთ ფულად სახსრებს განუყოფელი ფონდებიდან. 1959 წელს კოლმეურნეობების მიერ განუყოფელი ფონდების სახსრებიდან გახარჯული იქნა 10 მილიონ 600 ათასი მანეთი, მათ შორის მახარაძის რაიონის კოლმეურნეობების მიერ — 2 მილიონ 909 ათასი მანეთი, მარნეულის რაიონის კოლმეურნეობების მიერ — 1 მილიონ 452 ათასი მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობების მიერ — 1 მილიონ 254 ათასი მანეთი, გორის რაიონის — 827 ათასი მანეთი, აფხაზეთის ასსრ რაიონების — 799 ათასი მანეთი, გეგეჭკორის რაიონის — 741 ათასი მანეთი, გურჯაანის რაიონის—582 ათასი მანეთი, ჩოხატაურის რაიონის—420 ათასი მანეთი და ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ — 350 ათასი მანეთი.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა ვერ უზრუნველყო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საგზაო სამუშაოებში ჩაბმა; მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონში საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის გეგმა შესრულდა მხოლოდ 52 პროცენტით, წალკის რაიონში — 45 პროცენტით, ტყიბულის რაიონში — 72 პროცენტით, ყვარლის რაიონში — 72 პროცენტით, ბორჯომის რაიონში — 72 პროცენტით, სამტრედიის რაიონში — 76 პროცენტით, საგარეჯოს რაიონში — 79 პროცენტით, წულუკიძის რაიონში — 82 პროცენტით და ლენტეხის რაიონში—84 პროცენტით;

საგარეჯოს რაიონში ხაშმის, სართიჭალის, გომბორის, კოჭბაანის და შიბლიანის კოლმეურნეობებმა საგზაო სამუშაოებში უმნიშვნელო მონაწილეობა მიიღეს, ხოლო სხვა საწარმოო და სამეურნეო ორგანიზაციებიდან 1959 წელს საგ-

ზაო სამუშაოებში მარტო მანავისა და უდაბნოს საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს მონაწილეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ რაიონში საგზაო სამუშაოებში კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობის საერთო გეგმა თუმცა შესრულებულია, მაგრამ რიგ კოლმეურნეობებსა და ორგანიზაციებს ბრძანებულებით გათვალისწინებული დავალება არ შეუსრულებიათ. საგზაო სამუშაოების შესრულებას უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ მაგალითად, ვანის რაიონის ყუმურის, შუამთისა და სალხინოს კოლმეურნეობები, რის შედეგადაც, ამაღლება-საპრასიის, ვანი-სულორის და შუამთა-ყუმურის გზები შეუკეთებელი დარჩა და ცუდ მდგომარეობაში იმყოფება; სამტრედიის რაიონში დავალება არ შეასრულეს ნაფაღაურის ლენინის სახელობის, კულაშის გამარჯვებისა და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა, ავტოსატრანსპორტო კანტორამ, სარემონტო კანტორამ და ცეკავშირის ავტობაზამ; ამ კოლმეურნეობების გამგეობების თავმჯდომარეებმა და საწარმოო და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა არ შექმნეს საგზაო ბრიგადები, არ გამოიყენეს გზების შესაკეთებლად გამწევი ძალა და ავტოტრანსპორტი, რის შედეგადაც მათზე გაპიროვნებული გზები თოქმის გაუვალ მდგომარეობაში იმყოფება. დმანისის რაიონში დაგ-არახლოს, კიროვისის, ირგანჩაისა და აზკაკლიანის კოლმეურნეობები სისტემატურად არ ასრულებენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის გეგმებს.

ბოგდანოვკის, ტყიბულის, ყვარლის, ბორჯომის, საგარეჯოს, წულუკიძის, ლენტეხის, თერჯოლის, ასპინძისა და სხვა რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს არა აქვთ მიღებული ბრძანებულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული ზომები იმ კოლმეურნეობების და ორგანიზაციების, ასევე მათი ხელმძღვანელების მიმართ, რომლებმაც საგზაო სამუშაოებში მონაწილეობას თავი აარიდეს.

რიგი ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები ცდილობენ, რათა ბრძანებულებით გათვალისწინებული საგზაო სამუშაოებში ჩაბმული შრომითი რესურსები გამოიყენონ არა ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთების სამუშაოებში, არამედ თვით ქალაქის ქუჩების შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაავალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოს აღმასკომებს გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების განუხრელად შესრულებისათვის, ამ მიზნით:

ა) დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ საგზაო სამუშაოებში მონაწილე ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას და ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მათი მონაწილეობის გეგმების აუცილებელ შესრულებას;

ბ) რჩევა მისცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს შექმნან მუდმივი საგზაო ბრიგადები და მუდმივი მექანიზებული რაზ-

მები, მათთვის დაწესებული საგზაო სამუშაოთა მოცულობისა და მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოყოფილია ამ სამუშაოს შესასრულებლად. ამასთან დააწესონ კონტროლი, რომ მუდმივი საგზაო ბრიგადები და მუდმივი მექანიზებული რაზმები სისტემატურად მუშაობდნენ მათთვის მიჩნეულ სამუშაო უბნებზე;

გ) გაატარონ ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მათი ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც საგზაო სამუშაოებში მონაწილეობას თავს აარიდებენ.

2. განმარტოს საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად, ქალაქებში მდებარე საწარმოებისა და ორგანიზაციების საგზაო სამუშაოებში მონაწილეობა დაგეგმილი და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოებისათვის და არა შიდა საქალაქო გზებისა და ქუჩების კეთილმოწყობისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატაეცილების მთავარ სამმართველოს (ამხ. გ. რობიტაშვილი) გაძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივი საგზაო ორგანიზაციების მუშაობისადმი, რათა მათ მიერ ზუსტად იქნას განხორციელებული იმ სამუშაოთა ტექნიკური მეთვალყურეობა, კონტროლი და მიღება, რომლებიც სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 6 აპრილი.

4. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ ქართულ ენაზე გამოცემისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების საქმის გაუმჯობესების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 11 მარტის დადგენილებით შეიცვალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნების წესი, ამ აქტების ქართულ ენაზე დროულად გამოქვეყნების უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომების ოქმების გამოცემის საქმის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“ ქართულ ენაზე 1960 წლის 1 აპრილიდან გამოიცეს ქ. თბილისში.

დადგენილ იქნას ამ **უწყებების** გამოცემა ათ დღეში ერთხელ;

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის აქტების ქართულ ენაზე გამოქვეყნების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **უწყებებისა** და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომების ოქმების გამოცემისათვის შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიაში გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფი 6 ერთეულის რაოდენობით.

3. გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფს დაევალოს:

ა) თარგმნოს ქართულ ენაზე და გამოსცეს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს **უწყებები**", რომლებიც რუსულ ენაზე ქვეყნდება ქ. მოსკოვში;

ბ) გამოსცეს ქართულ და რუსულ ენებზე:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს **უწყებები**",

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომების ოქმები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები.

4. პასუხისმგებლობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის აქტების ქართულ ენაზე გამოქვეყნებისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის აქტების გამოცემისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს.

5. დამატებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის ახალი სტრუქტურისა და შტატების შესახებ" დამტკიცდეს გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფის შტატი და თანამდებობრივი განაკვეთები, თანახმად დანართისა.

6. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს **უწყებები**" ქართულ ენაზე, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **უწყებები**", პრეზიდიუმის სხდომების ოქმები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფის საშტატო განრიგი 1960 წლისათვის

№№ რიგზე	აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და საშტატო თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულების რიცხვი	ხელფასის განაკვეთი	დანამატები: პერსონალური დანამატები	დანამატები: სხვა დანამატი	სულ ხელფასის ფონდი თვეში
1	უწყებების გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფის გამგე	1	1.400	—	—	1400
2	მთარგმნელი	2	980	—	—	1960
3	კორექტორი	2	690	—	—	1380
4	მემანქანე	1	500	—	—	500
	ს ულ	6	—	—	—	5.240

5. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. არნოლდ მოსეს ძე **აფუზი** — ქ. ბათუმის ტყავის ქარხნის მუშა-მოხალისეთა სახანძრო რაზმეულის ქვედანაყოფის უფროსი
2. ივანე ალექსანდრეს ძე **ვოროტინცევი** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე
3. მათე ალექსანდრეს ძე **კვაჭაძე** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე
4. ნიაზ ხარუნის ძე **ოსიძე** — აჭარის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი
5. აკაკი სიოს ძე **ძნელაძე** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი
6. გიორგი გიორგის ძე **შანიძე** — ქ. ბათუმის № 10 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 6 აპრილი.

6. ბრძანებულება გ. ა. სამხარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და ხანგრძლივი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდეს გიორგი

აპოლონის ძე **სამხარაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 6 აპრილი.

7. ბრძანებულება ე. დ. ძამაშვილისათვის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოს ქ. თბილისის № 6 ტექნიკურ სასწავლებლის დირექტორს ელისო დიმიტრის ასულ **ძამაშვილს** საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წლის 6 აპრილი.

8. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით დაჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 348 დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	—	55
ახალქალაქის რაიონიდან	—	122
ახმეტის „	—	24
დმანისის „	—	43
თერჯოლის „	—	28
ლაგოდეხის „	—	27
ორჯონიკიძის „	—	19
სამტრედიის „	—	18
ტყიბულის „	—	3
ცხაკაიას „	—	5